

შპს ლოჯისტიქს სოლუშენს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

3

კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის..... 4

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის..... 5

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის 6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 7

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მომზადების საფუძველი 7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა..... 8
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ . 12
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები 13
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები..... 13
7. ფინანსური აქტივები..... 13
8. მარაგები..... 13
9. ძირითადი საშუალებები..... 14
10. საინვესტიციო ქონება..... 15
11. ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში 15
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 15
13. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი..... 15
14. ამონაგები..... 16
15. ფინანსური დანახარჯები..... 16
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 16
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 17
18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება 17

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	74 829	243 204
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5 195 430	1 360 745
ფინანსური აქტივები	7	70 863	70 393
მარაგები	8	19 999	3 648
საგადასახადო აქტივები		199 400	15 779
		5 560 521	1 693 769
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	12 532 072	13 404 217
საინვესტიციო ქონება	10	6 774 314	6 774 314
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		354 600	356 261
ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	11	-	177 986
		19 660 986	20 712 778
მთლიანი აქტივები		25 221 507	22 406 547
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4 179 631	1 618 006
საგადასახადო ვალდებულებები		-	39 556
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	13	1 409 716	4 456 975
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		45 697	24 189
		5 635 044	6 138 726
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	11 352 481	8 334 567
		11 352 481	8 334 567
მთლიანი ვალდებულებები		16 987 525	14 473 293
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		500	500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		8 233 482	7 932 754
		8 233 982	7 933 254
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		25 221 507	22 406 547

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს

ირაკლი ცანკაშვილი

დირექტორი, შპს ლოჯისტიკის სოლუშენს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	74 829	243 204
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5 195 430	1 360 745
ფინანსური აქტივები	7	70 863	70 393
მარაგები	8	19 999	3 648
საგადასახადო აქტივები		199 400	15 779
		5 560 521	1 693 769
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	12 532 072	13 404 217
საინვესტიციო ქონება	10	6 774 314	6 774 314
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		354 600	356 261
ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	11	-	177 986
		19 660 986	20 712 778
მთლიანი აქტივები		25 221 507	22 406 547
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4 179 631	1 618 006
საგადასახადო ვალდებულებები		-	39 556
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	13	1 409 716	4 456 975
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		45 697	24 189
		5 635 044	6 138 726
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	11 352 481	8 334 567
		11 352 481	8 334 567
მთლიანი ვალდებულებები		16 987 525	14 473 293
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		500	500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		8 233 482	7 932 754
		8 233 982	7 933 254
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		25 221 507	22 406 547

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს

ირაკლი ცანკაშვილი

დირექტორი, შპს ლოჯისტიკა სოლუმენს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	14	15 174 112	9 186 682
სხვა შემოსავლები		90 265	266 921
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(1 215 230)	(928 837)
გადაზიდვის მომსახურების ხარჯები		(9 253 517)	(6 115 219)
სატრანსპორტო საშუალებების რემონტი		(143 024)	(92 385)
საწვავის ხარჯები		(151 516)	(163 435)
მივლინების ხარჯები		(394 576)	(298 666)
იჯარის ხარჯები		(154 091)	(2 393)
დაცვის ხარჯები		(18 236)	(23 534)
საბანკო მომსახურების ხარჯები		(25 118)	(26 333)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1 019 686)	(1 079 578)
სხვა ხარჯები		(415 363)	(200 605)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(201 692)	(23 449)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი		(256 872)	2 652 509
სხვაობიდან			
საოპერაციო მოგება		2 015 456	3 151 678
ფინანსური დანახარჯები	15	(1 714 728)	(1 177 733)
მოგება დაბეგვრამდე		300 728	1 973 945
პერიოდის მოგება		300 728	1 973 945

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს

ირაკლი ცანკაშვილი

დირექტორი, შპს ლოჯისტიკის სოლუშენს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	14	15 174 112	9 186 682
სხვა შემოსავლები		90 265	266 921
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(1 215 230)	(928 837)
გადაზიდვის მომსახურების ხარჯები		(9 253 517)	(6 115 219)
სატრანსპორტო საშუალებების რემონტი		(143 024)	(92 385)
საწვავის ხარჯები		(151 516)	(163 435)
მივლინების ხარჯები		(394 576)	(298 666)
იჯარის ხარჯები		(154 091)	(2 393)
დაცვის ხარჯები		(18 236)	(23 534)
საბანკო მომსახურების ხარჯები		(25 118)	(26 333)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1 019 686)	(1 079 578)
სხვა ხარჯები		(415 363)	(200 605)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(201 692)	(23 449)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი		(256 872)	2 652 509
სხვაობიდან			
საოპერაციო მოგება		2 015 456	3 151 678
ფინანსური დანახარჯები	15	(1 714 728)	(1 177 733)
მოგება დაბეგვრამდე		300 728	1 973 945
პერიოდის მოგება		300 728	1 973 945

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს

ირაკლი ცანკაშვილი

დირექტორი, შპს ლოჯისტიკის სოლუშენს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	12 042 566	8 203 401
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	334 883	122 186
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(9 026 075)	(6 095 981)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(904 875)	(718 409)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(359 112)	(243 866)
სხვა საოპერაციო ფულადი გასაღები	(455 097)	(325 097)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 632 290	942 234
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(193 117)	(2 372)
ინვესტიციები სხვა საწარმოში	(42 035)	-
სესხის გაცემა	(470)	(70 393)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(235 622)	(72 765)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	4 148 716	8 360 892
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(4 526 754)	(8 349 619)
ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა	(373 953)	(320 770)
გადახდილი პროცენტები	(809 334)	(302 444)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1 561 325)	(611 941)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	(164 657)	257 528
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(3 718)	(28 424)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	243 204	14 100
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	74 829	243 204

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბრის

ირაკლი ცანკაშვილი

დირექტორი, შპს ლოჯისტიკის სოლუშენს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	12 042 566	8 203 401
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	334 883	122 186
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(9 026 075)	(6 095 981)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(904 875)	(718 409)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(359 112)	(243 866)
სხვა საოპერაციო ფულადი გასაღებები	(455 097)	(325 097)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 632 290	942 234
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(193 117)	(2 372)
ინვესტიციები სხვა საწარმოში	(42 035)	-
სესხის გაცემა	(470)	(70 393)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(235 622)	(72 765)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	4 148 716	8 360 892
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(4 526 754)	(8 349 619)
ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა	(373 953)	(320 770)
გადახდილი პროცენტები	(809 334)	(302 444)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1 561 325)	(611 941)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	(164 657)	257 528
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(3 718)	(28 424)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	243 204	14 100
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	74 829	243 204

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს ირაკლი ცანკაშვილი

დირექტორი, შპს ლოჯისტიკის სოლუშენს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021 (ადრე წარდგენილი)	500	6 708 603	6 709 103
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	-	(749 794)	(749 794)
ნაშთი 31.12.2021 (გადაანგარიშებული)	500	5 958 809	5 959 309
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	1 973 945	1 973 945
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	500	7 932 754	7 933 254
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	300 728	300 728
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2023	500	8 233 482	8 233 982

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს

ირაკლი ცანკაშვილი

დირექტორი, შპს ლოჯისტიკის სოლუშენს



თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021 (ადრე წარდგენილი)	500	6 708 603	6 709 103
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	-	(749 794)	(749 794)
ნაშთი 31.12.2021 (გადაანგარიშებული)	500	5 958 809	5 959 309
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	1 973 945	1 973 945
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	500	7 932 754	7 933 254
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	300 728	300 728
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2023	500	8 233 482	8 233 982

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს

ირაკლი ცანკაშვილი

დირექტორი, შპს ლოჯისტიკის სოლუშენს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ლოჯისტიკს სოლუშენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2011 წლის 15 მარტს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ირაკლი ცანკაშვილი.

კომპანიას გააჩნია შემდეგი შვილობილი საწარმოები:

კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	წილი
შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს აზერბაიჯანი“	აზერბაიჯანი	100%
შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს გერმანია“	გერმანია	100%
შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს უკრაინა“	უკრაინა	100%
შპს „ელ ეს ჰევილიფტი“	საქართველო	100%

კომპანიას ასევე გააჩნია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, LLC Kocaman Logistics Solutions (KLS LLC), რომელშიც ფლობს 50% წილს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გადაზიდვების მომსახურების გაწევა, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მშობელი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, თუთის ქუჩა, N13, ბინა NG2-3

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

კონსოლირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიისა და მის სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგებებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ინვესტიცია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აღიარდება სხვა შემოსავალში.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებელ დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	3-5

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს ხომ არ არსებობს ძირითად საშუალებების გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შემდგომ, ის ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თითოეული წლის ბოლოს, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განისაზღვრება ჯგუფის მიერ, რეალური ღირებულების შესაფასებლად იყენებს შესადარისი ქონების მიმდინარე საბაზრო ფასს, გამოყენების ხასიათის, ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის ნებისმიერი სხვაობის კორექტირების გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან, გაცემული სესხებისგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით როდესაც მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, კერძოდ როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. ჯგუფის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. ჯგუფის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები

• ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმომადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა ჯგუფის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	34 498	96 767
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7 009	1 907
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	33 322	144 530
სულ	74 829	243 204

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	5 189 386	1 134 037
გაცემული ავანსები	3 437	225 606
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	2 607	1 102
სულ	5 195 430	1 360 745

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული (2022 წელს 11,874 ლარი).

7. ფინანსური აქტივები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები (შენიშვნა)	70 863	70 393
სულ	70 863	70 393

8. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
საწვავი	8 353	3 648
საკანცელარიო საქონელი	11 646	-
სულ	19 999	3 648

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სულ
31 დეკემბერი 2022	947 288	289 480	15 184 555	184 664	16 605 987
შემოსვლა	-	152 412	-	40 702	193 114
გასვლა	-	(143 532)	(59 138)	(24 854)	(227 524)
31 დეკემბერი 2023	947 288	298 360	15 125 417	200 512	16 571 577
ცვეთა და გაუფასურება					-
31 დეკემბერი 2022	(104 228)	(175 909)	(2 810 403)	(111 230)	(3 201 770)
პერიოდის ცვეთა	(29 843)	(14 566)	(952 932)	(22 346)	(1 019 687)
გასვლა	-	121 595	59 138	1 219	181 952
31 დეკემბერი 2023	(134 071)	(68 880)	(3 704 197)	(132 357)	(4 039 505)
ნეტო საბალანსო ღირებულება					-
31 დეკემბერი 2022	843 060	113 571	12 374 152	73 434	13 404 217
31 დეკემბერი 2023	813 217	229 480	11 421 220	68 155	12 532 072

ჯგუფის ძირითადი საშუალებები (შენობა-ნაგებობები მთლიანად) დატვირთულია იპოთეკით ბანკისგან მიღებული სესხების სასარგებლოდ.

10. საინვესტიციო ქონება

(თანხები მოცემულია ლარში)

საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	6 774 314
რეალური ღირებულების ცვლილება წლის განმავლობაში	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	6 774 314

11. ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში

(თანხები მოცემულია ლარში)

საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	177 986
გაუფასურების ზარალი	(177 986)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	-

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	3 017 673	1 326 729
მიღებული ავანსები	1 161 958	291 227
გადასახდელი ხელფასი	-	50
სულ	4 179 631	1 618 006

13. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი*მოკლევადიანი სესხები*

	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	930 641	1 439 481
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	-	2 538 419
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	479 075	479 075
სულ მოკლევადიანი სესხები	1 409 716	4 456 975

გრძელვადიანი სესხები

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი სესხები	11 352 481	8 334 567
სულ გრძელვადიანი სესხები	11 352 481	8 334 567
სულ სესხები	12 762 197	12 791 542

სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი სა შუალებებით (შენობა-ნაგებობებით) და საინვესტიციო ქონებით.

14. ამონაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები	15 174 112	9 186 682
სულ	15 174 112	9 186 682

15. ფინანსური დანახარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1 714 728)	(1 177 733)
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(1 714 728)	(1 177 733)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის 100% წილის მფლობელია ირაკლი ცანკაშვილი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
სხვა დაკავშირებული მხარეები		
მომსახურების მიწოდება	413 451	248 773
მომსახურების შეძენა	452 894	18 898

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სხვა დაკავშირებული მხარეები		
სავაჭრო მოთხოვნები	395 489	219 103
სავაჭრო ვალდებულებები	64 117	-
გადახდილი ავანსები	-	120 198

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სხვა დაკავშირებული მხარეები		
საწყისი ნაშთი	70 393	-
სესხის გაცემა	470	70 393
საბოლოო ნაშთი	70 863	70 393

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი დენომინირებულია ლარში, სესხს არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი და არ არის უზრუნველყოფილი.

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
მაკონტროლებელი მხარე		
საწყისი ნაშთი	890	890
სესხის მიღება	133 872	35 000
სესხის დაფარვა	- 37 890	- 35 000
საბოლოო ნაშთი	96 872	890
სხვა დაკავშირებული მხარეები		
საწყისი ნაშთი	-	-
სესხის მიღება	187 124	-
პროცენტის დარიცხვა	14 961	-
პროცენტის დაფარვა	- 14 961	-
საკუროს სხვაობის ეფექტი	1 134	-
საბოლოო ნაშთი	188 258	-

მაკონტროლებელი მხარისგან მიღებული სესხი დენომინირებულია ლარში, სესხს არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი, სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი დენომინირებულია დოლარში, სესხს ერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური 25%, სესხი არ არის უზრუნველყოფილი, სესხის დაფარვის ვადაა 2024 წლის მარტი.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	232 439	104 800
სულ	232 439	104 800

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ჯგუფმა გაყიდა მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებები (სატრანსპორტო საშუალებები რომელთა ნეტო საბალანსო ღირებულება შეადგენდა 4,020,300 ლარს).

18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა აღმოაჩინა წინა პერიოდში დაშვებული შეცდომები. აღნიშნული შეცდომების გასწორება მოხდა რეტროსპექტულად. შეცდომების გასწორების შედეგად 2022 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 749,794 ლარით, 2022 წლამდე პერიოდის შეცდომების გასწორების ეფექტი. 2022 წლის წმინდა მოგება გაიზარდა 8,978 ლარით.